ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5192488

ნომერი: AR1788297

თარიღი : 16.11.2020

გაცემის თარიღი : 19.11.2020

გაცნობის თარიღი : 20.11.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 69 , (ნაკვ. 4/37);

დამკვეთი-განმცხადებელი

- შორენა ბაღიშვილი პ/ნ 01108069650
- საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, I მიკრო/რაიონი, კორპუსი 7, ბინა 26

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- კვების ობიექტები
  - კაფე, ბარი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

16/11/2020 წლის AR1788297 განცხადების პასუხად, რომელშიც ითხოვთ N01.15.03.004.037 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მსუბუქი კონსტრუქციის მქონე კაფე-ბარის მიშენება-დაშენების მიზნით მიწის ნკავეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას, გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით N 01.15.03.004.037 დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი-რუკის მიხედვით მდებარეობს სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2)-ში.

სარეკრეაციო ზონა 2 - რზ-2 სარეკრეაციო ქვეზონა მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ გამწვანებულ ტერიტორიებს: პარკს, ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს; რზ-2 ში – დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა ამ წესების დანართი-1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობებისა.

ვინაიდან სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2)-ში ობიექტის აღნიშნული ფუნქციით განვითარება საჭიროებს სპეციალურ (ზონლურ) შეთანხმებას, სამსახური მოკლებულია საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობას. შესაბამისად საკითხი განხილულ უნდა იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, რისთვისაც განაცხადით უნდა მიმართოთ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოთხოვნით.

მხოლოდ აღნიშნულის განხორციელებისა და დადებითი პასუხის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.